

შპს “ბასა 2022“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2024	12/31/2023
აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11,871	9,334
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	280,318	142,566
მარაგები	308,260	91,328
გადახდილი ავანსი	15,350	
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	-	-
მოკლევადიანი აქტივები	615,799	243,228
არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	224,370	37,117
გრძელვადიანი აქტივები	224,370	37,117
სულ აქტივები	840,169	280,345

ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13,540	29,896
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	37,839	46,103
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები	51,379	75,999
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	192,878	93,888
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	192,878	93,888
სულ ვალდებულებები	244,257	169,887

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	595,912	110,458
სულ საკუთარი კაპიტალი	595,912	110,458
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	840,169	280,345

ნიკოლოზ ბასილაშვილი (დირექტორი)

ნ. გახიიაშვილი

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები		
თვითღირებულება	4,612,718	2,513,543
საერთო მოგება	(2,407,709)	(1,498,453)
	2,205,008	1,015,090

სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(135,834)	(37,722)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25,573)	(3,161)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(13,205)	(11,203)
იჯარის ხარჯი	(48,393)	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1,366,064)	(693,887)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,589,069)	(745,973)

საოპერაციო მოგება	615,939	269,117
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-	-
მოგების გადასახადი	(24,774)	(23,406)
მოგება/(ზარალი)	591,165	245,711

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	591,165	245,711
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	110,010	(2,622)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(105,263)	(132,631)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	595,912	110,458

დირექტორი ნიკოლოზ ბასილაშვილი

6. გასცეტი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს ბასა 21 დაარსდა 2021 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რესტორნები და საკვებით მომსახურების მომსახურების საქმიანობები

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, 0186, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის 113, ბინა #8

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებითი შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს

საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო კონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 2%

სამედიცინო ტექნიკა და ინვენტარი 10%

ტექნიკა და ელ. მოწყობილობები 10%

ავტო და მოწყობილობა 10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა,

ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში,

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი,

შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე,

ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასულობების გაუფასურება,

რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება

შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი,

რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული

შემოდინებული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება

უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით,

რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული

სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად

დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების****ექვივალენტები**

	12/31/2024	12/31/2023
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
ნაღდი ფული		3,126
ეროვნულ ვალუტაში	1,376	
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,496	6,208
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
სულ	11,871	9,334

შენიშვნა 4**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი****მოთხოვნები**

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	280,318	142,566
გადახდილი ავანსები	15,350	-
წინასწარ გადახდილი გადასახადი		
სულ	295,668	142,566

შენიშვნა 5**მარაგები**

	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალები	308,260	91,328
სულ	308,260	91,328

შენიშვნა 6
ძირითადი
საშვალელები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და ინვენტარ ი	სატრანპორტ ო საშუალება	ოჯრით აღებული კეთილმოწყობ ა	ჯამი
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	22,293	14,185	4,429			40,907
შემოსვლები		<u>9912</u>	<u>56,154</u>	<u>106,477</u>	<u>40,282</u>	<u>212,82</u>
გადაფასება						<u>0</u>
გასხვისება, ჩამოწერა						<u>0</u>
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	22,293	24,097	60,583	106,477	40,282	253,73 2
დაგროვილი ცვლათა და გაუფასურება						
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	<u>(1,897)</u>	<u>(1,780)</u>	(112)			(3,789)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(4,080)	(4,463)	(10,988)		(6,042)	(25,57)
გასხვისება და ჩამოწერა						<u>0</u>
ნაშთი: 202 წლის 31 დეკემბერი	(5,977)	(6,243)	(11,100)	0	(6,042)	(29,36)
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 1 იანვარი	20,396	12,405	4,317			37,118
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 31 დეკემბერი	16,316	17,854	49,483	106,477	34,240	224,37

შენიშვნა 7
სავაჭრო და სხვა
ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	13,540	29,896
ვალდებულება საწამოს პერსონალის წინაშე	-	-
სულ	13,540	29,896

შენიშვნა 8
საგადასახადო
ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	-
საშემოსავლო გადასახადები	-	-

დღგ	30,935	46,103
სხვა გადასახადი	6,904	-
სულ	37,839	46,103

შენიშვნა 9
სესხები

	12/31/2024	12/31/2023
სესხები	192877.86	93888
სულ სესხები	192,878	93,888

შენიშვნა 10
ამონაგები

	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	4,612,718	2,513,543
სულ	4,612,718	2,513,543

შენიშვნა 11
საოპერაციო
ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
თვითღირებულება	2,407,709	1,498,453
დასაქმებულთა ანაზღაურება	135,834	37,722
იჯარის ხარჯი	48,393	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	1,366,064	693,887
ცვეთა და ამორტიზაცია	25,573	3,161
სულ	3,983,574	2,233,223

შენიშვნა 12
სხვა ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
სხვა ხარჯები	13,205	-
სულ	13,205	-

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 სექტემბერს.

ნიკოლოზ ბასილაშვილი
(დირექტორი)

ნ. ბასილაშვილი